



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

სამედიცინო პუნქტის დებულება  
*Regulation for the Medical Aid Post*

## წინასიტყვაობა

1. შემუშავებულია – ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი რუსუდან დიასამიძის და იურიდიული განყოფილების უფროსი გიორგი დიასამიძის მიერ;
2. დამტკიცებულია – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის გენერალური დირექტორის მიერ (2021 წლის 27 ივლისის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N18);
3. მოქმედებაშია – დამტკიცების დღიდან;
4. პერიოდული შემოწმება – წარმოებს შემუშავებლის მხრიდან არაუმეტეს 12 თვის ინტერვალისა;
5. ცვლილებები – ცვლილებათა შეტანა წარმოებს არსებული დებულების გამოყენების შედეგებით ან ნორმატიული დოკუმენტის მოთხოვნების ცვლილებებისას, რომლის საფუძველზეც შემუშავდება დებულება.
6. არსებული დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების (ვერსიის) დამტკიცების შემთხვევაში.





შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

სამედიცინო პუნქტის დებულება  
*Regulation for the Medical Aid Post*

შინაარსი

1. გავრცელების სფერო .....	5
2. ნორმატიული მითითებები .....	5
3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები .....	5
4. ზოგადი დებულება .....	6
5. სამედიცინო პუნქტის მიზნები, ამოცანები და ფუნქციები .....	6
6. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი.....	7
6.1 ძირითადი დებულება .....	7
6.2 სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი .....	7
6.3 პირველადი დახმარების გაწევის მეთოდები .....	8
6.4 გადაუდებელი სამედიცინო სამსახურის (112) გამოძახება .....	9
7. სამედიცინო პუნქტის ექთანის პასუხისმგებლობა და უფლებამოსილება .....	9
8. რესურსები .....	10
9. სამედიცინო პუნქტის ლიკვიდაცია .....	10
10. კონფედენციალურობა .....	11
11. პერიოდული შემოწმების აღრიცხვის ფურცელი .....	12
12. ქვეგანყოფილების პერსონალის დებულებაზე გაცნობის ფურცელი .....	13
13. შეთანხმების ფურცელი .....	14



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

სამედიცინო პუნქტის დებულება  
*Regulation for the Medical Aid Post*

### 1. გავრცელების სფერო

- 1) არსებული დებულება ადგენს სამედიცინო პუნქტის ფუნქციონალურ თანმიმდევრობას, განსაზღვრავს პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმს და ვრცელდება ბუსსს ანრის მთელ პერსონალზე;
- 2) წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული წესების განხორციელებაზე პასუხისმგებელია სამედიცინო პუნქტი, რომელიც ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, სასწავლებლის შიდა ნორმატიული დოკუმენტებით, ეთიკის კოდექსითა და წინამდებარე დებულებით;
- 3) დებულების აღრიცხული ეგზემპლარი ინახება ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურში (როგორც ელექტრონული ასევე მყარი ვერსია) და სამედიცინო პუნქტში (საკონტროლო ეგზემპლარი), ელექტრონული ვერსია განთავსებული სასწავლებლის შიდა ქსელში და ვებგვერდზე;
- 4) არსებული დებულების დასაგზავნი ეგზემპლარების მომზადება და დაგზავნა ხდება საჭიროებისამებრ ბუსსს ანრის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

### 2. ნორმატიული მითითებები

არსებული დებულების მომზადებისას გათვალისწინებულია შემდეგი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნები:

- 1) სს ISO 9001:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. მოთხოვნები;
- 2) სს ISO 9000:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. ძირითადი დებულებები და ლექსიკონი;
- 3) პსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტები;
- 4) ნდ №2-010101 შპს ბუსსს ანრის წესდება;
- 5) ნდ N2-020101 – შპს ბუსსს ანრის ხარისხის სახელმძღვანელო;
- 6) ნდ 2-0201-01- დოკუმენტთა და მონაცემთა მართვის პროცედურა

### 3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები

არსებულ დებულებაში გამოყენებულია შემდეგი ტერმინები, განმარტებები და შემოკლებები:

#### 3.1 ტერმინები, განმარტებები

- 1) დოკუმენტების პერიოდული შემოწმება - ქმედება რომელიც ითვალისწინებს ნორმატიული დოკუმენტის განხილვას, რათა განისაზღვროს საჭიროა თუ არა მისი ხელახალი დამტკიცება, გაუქმება;



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

სამედიცინო პუნქტის დებულება  
*Regulation for the Medical Aid Post*

- 2) თანამდებობრივი ინსტრუქცია - ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ცალკეულ თანამდებობაზე დანიშნული თანამშრომლის კვალიფიკაციურ მოთხოვნებს, მოვალეობებს, უფლებებს და პასუხისმგებლობებს;
- 3) ნორმატიული დოკუმენტი (ნდ) - დოკუმენტი რომელიც ადგენს წესებს საერთო პრინციპებს ან მახასიათებლებს გარკვეული მოღვაწეობის სფეროსათვის;
- 4) პერსონალი - ბუსსს ანრის საშტატო თანამშრომლები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, საწვრთნელი კურსების ინსტრუქტორები;
- 5) სამუშაო ინსტრუქციის დებულებების სახელმძღვანელო - ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ცალკეულ სამუშაოს და მომსახურების შესრულებისათვის საჭირო ქმედებათა თანმიმდევრობას;
- 6) სტრუქტურული სქემა - დოკუმენტი რომელიც გრაფიკულად გამოსახავს ფირმის/საწარმოს მლლიან სტრუქტურულ სქემას, რომელშიც მოცემულია განყოფილებების ადმინისტრაციული და ფუნქციონალური კავშირი;
- 7) ცვლილებები - ნორმატიული დოკუმენტის განსაზღვრული ფრაგმენტის დამატება ან გამორიცხვა, მოდიფიკაცია;

### 3.2 შემოკლებები

- 1) ბუსსს ანრი (სასწავლებელი)- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი
- 2) ნდ - ნორმატიული დოკუმენტი
- 3) ISO - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

## 4. ზოგადი დებულება

- 1) სამედიცინო პუნქტი წარმოადგენს ბუსსს ანრის სტრუქტურულ ქვედანაყოფს;
- 2) სამედიცინო პუნქტი უზრუნველყოფს ბუსსს ანრის თანამშრომლების და სასწავლებლის ტერიტორიაზე მყოფი პირების პირველად სამედიცინო დახმარებას და სამედიცინო მომსახურებას;
- 3) სამედიცინო პუნქტი უზრუნველყოფს სასწავლებელში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
- 4) სამედიცინო პუნქტს ხელმძღვანელობს ექთანი, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორი.

## 5. სამედიცინო პუნქტის მიზნები, ამოცანები და ფუნქციები

- 1) სამედიცინო პუნქტის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ბუსსს ანრის პერსონალისათვის, პროფესიული სტუდენტებისა და მსმენელებისთვის საჭიროებისამებრ პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა;



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

სამედიცინო პუნქტის დებულება  
*Regulation for the Medical Aid Post*

- 2) საჭიროებისამებრ მედიკამენტების გაცემა;
- 3) სამედიცინო პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება;
- 4) სასწავლებელში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა.

**6. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი**

**6.1 ძირითადი დებულება**

- 1) სამედიცინო პუნქტი უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარების აღმოჩენას სასწავლებლის ტერიტორიაზე.
- 2) სამედიცინო პუნქტი უზრუნველყოფილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად აუცილებელი აღჭურვილობითა და მედიკამენტებით.
- 3) სასწავლებელი ვალდებულია ექთნის მოთხოვნის საფუძველზე, უზრუნველყოს სამედიცინო პუნქტი პირველადი დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტებითა და პირადი ჰიგიენის ნივთებით;
- 4) ბუსსს ანრი და თავად ექთანი იღებენ ვალდებულებას მედიკამენტების ვარგისიანობაზე; ამისათვის მუდმივად მიმდინარეობს არსებული და შესაძენი მედიკამენტების ვადის გადამოწმება და მხოლოდ გადამოწმების შემდეგ ხდება მათი გამოყენება;
- 5) ექთანი ავადმყოფის ჩვილების საფუძველზე უფლებამოსილია თავად აღმოუჩინოს პირველადი გადაუდებელი დახმარება.

**6.2 სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი**

- 1) ბუსსს ანრიში მოქმედი სამედიცინო პუნქტი აღჭურვილია პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო მედიკამენტებით;
- 2) სასწავლებელში დასაქმებულია სამედიცინო განათლების მქონე პირი - ექთანი, რომელიც უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარების აღმოჩენას.
- 3) უბედური შემთხვევის დროს აუცილებელია ნებისმიერმა პირმა შეასრულოს შემდეგი მოქმედებები:
  - ✓ დროულად მოუხმოს ექთანს;
  - ✓ არ გადაადგილოს დაზარალებული ექთნის მოსვლამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იქ დარჩენა სახიფათოა;
  - ✓ აუცილებლობის შემთხვევაში აღმოუჩინოს დახმარება;
  - ✓ აუცილებლობის შემთხვევაში გამოიძახოს საგანგებო სამსახურები (სახანძრო, სასწრაფო დახმარების სამსახური და სხვ.).



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

სამედიცინო პუნქტის დებულება  
*Regulation for the Medical Aid Post*

6.3 პირველადი დახმარების გაწევის მეთოდები

- პირველი დახმარება გულის წასვლის დროს:
  - დააწვინეთ დაზარალებული ზურგზე და ქვედა კიდურები განალაგეთ ვერტიკალურად;
  - უზრუნველყავით სუფთა ჰაერის მიწოდება;
  - მას შემდეგ, რაც დაზარალებულს დაუბრუნდება ცნობიერება, გაამხნევეთ და დაეხმარეთ ნელ-ნელა წამოჯდომაში;
  - გულმოდგინედ ჩაატარეთ განმეორებითი დათვალიერება, რადგან შესაძლებელია დაცემისას დაზარალებულს მიეღო ტრავმა, გაუწიეთ პირველი დახმარება დაზიანების შესაბამისად. თუ დაზარალებულს სწრაფად არ უბრუნდება ცნობიერება, გახსენით სასუნთქი გზები, შეამოწმეთ სუნთქვა და ცირკულაციის ნიშნები.
  - თუ გონზე მოსვლის შემდეგ დაზარალებული კვლავ ცუდად გრძნობს თავს, ურჩიეთ მას დაწვეს ზურგზე და აუწიეთ ფეხები, სანამ ზოგადი მდგომარეობა ბოლომდე არ გაუმჯობესდება.
- ხელოვნური სუნთქვის ჩატარების ტექნიკა
  - ჩაბერეთ დაზარალებულს პირში 5 წამში ერთხელ;
  - ყოველი ჩაბერვის შემდეგ მოაშორეთ ტუჩები დაზარალებულის პირს და შემდეგ ჩაბერვამდე დაელოდეთ გულმკერდის კედელი დაუბრუნდეს საწყის მდებარეობას;
  - თუ ცირკულაციის ნიშნები არ არის, ეს ნიშნავს რომ გული გაჩერებულია და თქვენ სწრაფად უნდა დაიწყოთ გულის არაპირდაპირი მასაჟი.
- გულის არაპირდაპირი მასაჟის შესრულების ტექნიკა:
  - დადექით მუხლებზე დაზარალებულის გულმკერდის გასწვრივ;
  - მოძებნეთ დაზარალებულის დვრილების შემაერთებელი ხაზის შუა წერტილი, ამ წერტილის ქვევით მოათავსეთ ერთ ხელი, ისე, რომ მკერდის ძვალზე იდოს მხოლოდ მტევნის უკანა ნაწილი. ეს არის ის ადგილი, რომელზეც თქვენ უნდა მოახდინოთ ზეწოლა;
  - დაადეთ მტევანი ზემოდან მეორე ხელს, შეჭიდეთ თითები და ასწიეთ ზემოთ ისე, რომ მკერდის ძვალზე იდოს მხოლოდ მტევნის უკანა ნაწილი;
  - გაშალეთ ხელები იდაყვის სახსარში ისე, რომ თქვენს ხელებსა და გულმკერდის წინა კედელს შორის იყოს სწორი კუთხე;
  - მოახდინეთ ზეწოლა მკერდის ძვალზე ისე, რომ ზეწოლის სიღრმე არ აღემატებოდეს 4-5 სმ-ს. ზეწოლის შემდეგ ხელების მოუშორებლად მიეცით მკერდის ძვალს საწყის მდებარეობაში დაბრუნების საშუალება. ზეწოლისას



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

სამედიცინო პუნქტის დებულება  
*Regulation for the Medical Aid Post*

ითვალთ: “ერთი, ორი, სამი, ოთხი 15-მდე” ისე რომ 1 წუთში გამოვიდეს 100 ზეწოლა მკერდის ძვალებზე.

**6.4 გადაუდებელი სამედიცინო სამსახურის (112) გამოძახება**

მაშინ როდესაც გული და სუნთქვა გაჩერებულია, ძალიან მნიშვნელოვანია გადაუდებელი სამედიცინო დახმარების დროული გამოძახება:

- თუ გყავთ დამხმარე - დროულად გააგზავნეთ ის სასწრაფო დახმარების გამოსაძახებლად;
- თუ ხართ მარტო - სუნთქვის და გულის გაჩერება განპირობებულია ტრავმით ჩაატარეთ გულფილტვის რეანიმაცია 1 წთ-ის განმავლობაში, შემდეგ გამოიძახეთ გადაუდებელი სამედიცინო სამსახური, დაბრუნდით დაზარალებულთან და გააგრძელეთ პირველი დახმარების აღმოჩენა.

**7. სამედიცინო პუნქტის ექთანის თანამდებობრივი ინსტრუქცია**

სამედიცინო პუნქტის ექთანი ინიშნება და თავისუფლდება გენერალური დირექტორის ბრძანებით.

**7.1 ბუსსს ანრის სამედიცინო პუნქტის ექთანმა უნდა იცოდეს:**

- 1) სამედიცინო პუნქტის ექთანს უნდა ჰქონდეს სამედიცინო განათლება და სამედიცინო სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლის სტაჟი;
- 2) სამედიცინო პუნქტის ექთანი ხელმძღვანელობს მის დაქვემდებარებაში მყოფ სამედიცინო პუნქტს;
- 3) სამედიცინო პუნქტის ექთანი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მოქმედი ეროვნული კანონმდებლობებით, შპს ბუსსს ანრის წესდებით და შინაგანაწესით, შპს ბუსსს ანრიში მოქმედი წესებით, ბრძანებებით, განკარგულებებით, ინსტრუქციებით, პროცედურებითა და დებულებებით.

**7.2 ბუსსს ანრის სამედიცინო პუნქტის ექთანის ვალდებულებები**

სამედიცინო პუნქტის ექთანმა უნდა:

- 1) იცოდეს და ესმოდეს ბუსსს ანრის სამედიცინო საქმიანობის სფერო, ბუსსს ანრის მიზნები და ვალდებულებები ხარისხის სფეროში;
- 2) იცოდეს და უზრუნველყოს შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის და უსაფრთხოების ნორმები და წესები;
- 3) უზრუნველყოს სტრუქტურული ქვედანაყოფების პირველადი სამედიცინო მომსახურება, ბუსსს ანრის საწარმოო სანიტარული წესების და ნორმების შესაბამისად;





შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

სამედიცინო პუნქტის დებულება  
*Regulation for the Medical Aid Post*

- 4) შეამოწმოს ბუსსს ანრის კაბინეტების, აუდიტორიების სანიტარულ ჰიგიენულ მდგომარეობა და შეუსაბამობების აღმოჩენის შემთხვევაში მოახსენებს გენერალური დირექტორს წერილობითი ფორმით;
- 5) გააკონტროლოს ბუსსს ანრის დამლაგებელის მოვალეობების ხარისხიანად შესრულება;
- 6) აწარმოოს სამედიცინო პუნქტში არსებული წამლებისა და სამედიცინო პრეპარატების აღრიცხვა, ვარგისიანობის კონტროლი.

**7.3 ბუსსს ანრის სამედიცინო პუნქტის ექთანის უფლებები**

- 1) მოითხოვოს პირველადი დახმარებისათვის საჭირო ხელსაწყოები და მედიკამენტები;
- 2) მისცეს მითითებები ბუსსს ანრის პერსონალს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

**7.4 ბუსსს ანრის სამედიცინო პუნქტის ექთანის პასუხისმგებლობა**

- 1) სამედიცინო პუნქტის მუშაობაზე, შრომითი და საწარმოო დისციპლინის დაცვაზე, მასზე დაკისრებული ამოცანების შესრულებაზე არსებული დებულების გათვალისწინებით;
- 2) თავის ქვედანაყოფში ხარისხის სისტემის მოთხოვნების დანერგვასა და შესრულება;
- 3) გასაწევ მომსახურებასა და ხარისხის სისტემასთან დაკავშირებით ნებისმიერი შეუსაბამობის აღმოფხვრა;
- 4) სამედიცინო პუნქტში რიცხული მედიკამენტებისა და ინვენტარის შენახვა - მოვლაზე.

ვრცლად ექთნის უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია ფუნქციონალურ მოვალეობებში **N 2-010201/43**.

**8. რესურსები**

დებულების მოქმედებაში მოყანისათვის საჭიროა შემდეგი რესურსები:

- 1) პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტები და ინვენტარი;
- 2) მატერიალური რესურსები - კარადა, მდივანი, მაგიდა, სკამი და ა.შ.
- 3) ფინანსური რესურსები - მედიკამენტებისა და სხვა საჭირო ინვენტარის, ნივთების შესაძენად;
- 4) კვალიფიცირებული პერსონალი.

**9. სამედიცინო პუნქტის ლიკვიდაცია**

სამედიცინო პუნქტი შეიძლება ლიკვიდირებული იქნას მხოლოდ ბუსსს ანრის გენერალური დირექტორის ბრძანებით.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

*სამედიცინო პუნქტის დებულება*  
*Regulation for the Medical Aid Post*

## 10. კონფიდენციალურობა

დებულება წარმოადგენს ბუსსს ანრის შიდა ნორმატიულ დოკუმენტს და არ ექვემდებარება მესამე მხარისთვის წარდგენას, გარდა აუდიტორებისა შიდა, გარე და ინსპექციური შემოწმების დროს.





**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**სამედიცინო პუნქტის დებულება  
Regulation for the Medical Aid Post**

**12. პეროსნალის დებულებასთან გაცნობის ფურცელი**

№	სახელი, გავრი	თანამდებობა	გაცნობის ვადა	გაცნობის თარიღი	ხელმოწერა
1	ნათია დიასამიძე	ადამიანური რესურსების მენეჯერი	05.08.2021		
2	ირაკლი გოგიტიძე	შესყიდვების და სამეურნეო განყოფილების უფროსი	05.08.2021		
3	ომარი დიასამიძე	პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვის და პროფესიულ სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი	05.08.2021		
4	ლონდა მიქელაძე	საქმისმწარმოებელი	05.08.2021		
5	მზია დუმბაძე	არქივარიუსი	05.08.2021		
6	ჟუჟუნა დიასამიძე	ბიბლიოთეკარი	05.08.2021		
7	მალვინა ურუშაძე	ბიბლიოთეკის გამგე	05.08.2021		
8	ირაკლი ბეჟნიძე	IT ოპერატორი	05.08.2021		
9	ილია ნიქაბაძე	პიარ-მენეჯერი	05.08.2021		
10	თამთა ჩხეიძე	საქმისმწარმოებელი	05.08.2021		
11	სოფიკო მამულაძე	მთ.ბუღალტერი	05.08.2021		
12	მაია დავითიანი	სასწავლო პროცესის მენეჯერი	05.08.2021		
13	მონიკა დიასამიძე	წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის საქმისმწარმოებელი	05.08.2021		
14	ზურაბ დიასამიძე	შესყიდვების მენეჯერი	05.08.2021		
15	ნინო ნაკაშიძე	პროფ.სტუდ. თანამშრომ, მსმენელებთან ურთიერთ განყოფილების უფროსი	05.08.2021		
16	გიორგი აბულაძე	ს/გ „კაპ. ო.ჩახვაძე“ ბოცმანი	05.08.2021		
17	ედგარ ნაკაშიძე	ს/გ „კაპ. ო.ჩახვაძე“ მოტორისტი	05.08.2021		
18	დავით ჩხაიძე	საამქროების უფროსი	05.08.2021		



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

სამედიცინო პუნქტის დებულება  
Regulation for the Medical Aid Post

13. შეთანხმების ფურცელი

ნაწილი 1. დოკუმენტის იდენტიფიკაცია, შემთანხმებელი პირების დანიშვნა

1.1 შეთანხმებული დოკუმენტის დასახელება, №

სამედიცინო პუნქტის დებულება  
Regulation for the Medical Aid Post

ნდ N-2-010117

1.2 დებულების შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირი:

ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი რუსუდან დიასამიძე  
იურიდიული განყოფილების უფროსი გიორგი დიასამიძე

1.3 შემსრულებელი \_\_\_\_\_ \ \_\_\_\_\_ \

\_\_\_\_\_ \ \_\_\_\_\_ \

ნაწილი 2.

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

№	შემთანხმებლის თანამდებობა	ხელმოწერა	შეთანხმების რიცხვი	შენიშვნა
1	ექთანი თამარ მიქელაძე			
2	შინაგანწესისა და ვახტის უზრუნველყოფის უფროსი მინდია თავართქილაძე			

დოკუმენტი შესათანხმებლად წარადგინა \_\_\_\_\_ ხელმოწერა \_\_\_\_\_ სახელი, გვარი \_\_\_\_\_ თარიღი